იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა


გამოცემის მე-11 წელი

№ 17 (177)

სექტემბერი, 1967 წელი



პირველკლასელები.



პირველი სექტემბერი!

ახმიანდა ცისკრის ზარები საქართველოში. სიჭაბუკეს კარი გაუღეს მეცნიერების დიდმა ტაძრებმა. გაუღეს და გზა დაულოცეს ჩვენს მომავალს.

დღეს პირველად მიუსხდნენ მერხებს ბიჭუნები და გოგონები დიდრონი გაოცებული თვალებით და მერე მოწიწებით გადაშალეს ყველაზე უწმიდესი წიგნი, რომელსაც „დედა-ენა“ ეწოდება.

სტუდენტი ახალგაზრდობა კიბერნეტიკულ ლაბორატორიებში დაეუფლება ატომის საიდუმლოებას. ლანცეტით, საჭრეთლით, ფუნჯით ისწავლის, ეძიებს და იპოვნის ახალ გამომსახველ საშუალებებს მეცნიერებისა და ხელოვნების დაუფლებისათვის.

ერთმა მილიონმა მოსწავლემ ჩვენი სამშობლოს მთასა და ბარში აახმიანა სკოლების მყუდრო დერეფნები.

75 ათასი მასწავლებელი ასწავლის მათ ცხოვრების დიდ კანონებს.

დღეს საქართველო ამაყობს საყოველთაო განათლების ფართო მასშტაბით. ამ მხრივ მას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემა შემდგომ სრულყოფას აღწევს. წელს მწყობრში ჩადგა კიდევ 60 სკოლა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზებით, მოედნებით დამშვენებული. დღითიდღე მაღლდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, რომელიც კვალში უდგას სწრაფ ტექნიკურ პროგრესს და საერთო კულტურულ აღმავლობას.

სექტემბრის ზარი

ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ შორს გაითქვა სახელი. ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას, ვ. კუპრაძის, რ. გამყრელიძის და სხვათა შრომებმა მსოფლიო სამეცნიერო წრეების აღიარება მოიპოვეს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ამ ორიოდე წლის წინათ თბილისში გაიმართა საერთაშორისო მათემატიკური სიმპოზიუმი. ეს ყველაფერი საამაყოა, მაგრამ ახალი ტალანტების გამოვლინება მომავლის საქმეა და მით უფრო სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ თბილისში ახლახან შეიქმნა სპეციალური მათემატიკური სკოლა. დედაქალაქშივე გაიხსნა პირველი ზოგადსაგანმანათლებლო ექსპერიმენტული სკოლა (რომელიც ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებობს). აქ მოეწყობა დაკვირვება პედაგოგიკის სწავლების მეთოდიკაზე და სხვ.

ოდითგანვე ქართველი კაცი მარჯვედ ხმარობდა ხმალსაც და კალამსაც. ბევრი მათგანი შინ და სამანს მიღმა ზოგადსაკაცობრიო სიმაღლემდე დაფნის გვირგვინით ამაღლდა. ევროპაში ხუთი აკადემია იყო, საქართველოში სამი. შავ მთაზე, ათონში, იერუსალიმში ქართველი მოღვაწენი თარგმნიდნენ, ქმნიდნენ, ეპაექრებოდნენ ბიზანტიელებს, არაბებს, სპარსელებს ფილოსოფიაში, რიტორიკაში, მათემატიკაში, ასტრონომიაში. ხმლით იცავდნენ რელიგიას და ენის სიწმინდეს. რამდენის თქმა მოასწრეს და რამდენი დარჩათ უთქმელი.

დღეს — პირველ სექტემბერს მოწიწებით ვიგონებთ ჩვენს დიდ წინაპრებს, რომელთა შემოქმედება მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

რევოლუციის მონაპოვარმა საყოველთაო განათლებისაკენ გზა გაუხსნა თვითეულ ადამიანს. ჩვენში რომ ისწავლო, მხოლოდ სურვილი და ბეჯითობაა საჭირო. გამოცდების დაწყების წინ საქართველოს ტელევიზია სტუდიაში იწვევს მაღალკვალიფიციურ ლექტორებს, რომლებიც მილიონიანი აუდიტორიის წინაშე მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის და სხვ. საფუძვლებს კითხულობენ.

განათლების დიდი ტრადიციების ქვეყანა — საქართველო მომზადებული ხვდება პირველ სექტემბერს. იმრავლოს ჩვენმა გამარჯვებებმა!

ნანა ჯაფარიძე.

დედაქალაქის ამბები

ტრამვაი თბილისის ღვაწე

ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია თბილისის ზღვა. ზაფხულის ცხელ დღეებში მრავალი მათგანი გრილდება ზღვის ტალღებში, ისვენებს მის ჩრდილოვან სანაპიროზე. დასვენების მსურველი განსაკუთრებით ბევრია შაბათ-კვირას. ისინი დილადანვე ტოვებენ სიცხით გათანგული ქალაქის ქუჩებს და გრილ გარემოს ეშურებიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ადვილად ვერ ისრულებს სურვილს — ზღვისკენ მგზავრობა არც ისე ადვილია. როგორც არ უნდა გაზარდოთ ამ მარშრუტის ავტობუსების რაოდენობა, მგზავრთა დაკმაყოფილება მაინც ვერ ხერხდება.

გამოსავალი?

მისი მოძებნის აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ დადგა უკანასკნელ ხანს, რაც ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები ორ-დღიან დასვენებაზე გადავიდნენ.

უახლოეს მომავალში დაბრკოლება ადვილად გადაილახება. ამ დღეებში საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დამტკიცდა, რომ თბილისის ზღვა დედაქალაქს დაუკავშირდეს ხელმისაწვდომი, იაფი და ტევადი ტრანსპორტით — ტრამვაით.

ტრამვაის ხაზის ახალი, 3,5-კილომეტრიანი ტრასა სათავეს აგლაძის გზატკეცილიდან, ელმავალსაშენებელი ქარხნის მიდამოებიდან აიღებს. გაიცლის ელმავალსაშენებელი ქარხნის ახალი დასახლების კორპუსებს შორის და ზღვას მიადგება.

გათვალისწინებულია, რომ თბილისის ზღვაზე მიმავალი ტრამვაის ერთი მარშრუტისათვის ბოლო გაჩერება მეტროს სადგურ „დიდუბესთან“ იყოს. ეს ქალაქის ცენტრში მცხოვრებთ უფრო გაუადვილებს დასასვენებელ ადგილზე მისვლას.

ამჟამად ახალ გეგმებთან დაკავშირებით დიდი სამუშაოები სრულდება საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტში“, მოწმდება და ზუსტდება ახალი ტრასის პროექტის ცალკეული დეტალები. სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს გზის სამსახურის მუშა-მოსამსახურეებმა კი უკვე დაიწყეს მოსამზადებელი სამუშაოები.

ახალი საბაგირო გზები

დღეს ძნელია თუნდაც უბრალოდ ჩამოთვალო საქართველოს ყველა პუნქტი, სადაც შენდება ან უნდა აშენდეს ახალი საბაგირო გზები. ბევრია ასეთი გზა, მაგრამ მათ შორის არის ისეთები, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ ორიგინალობით და მშენებლობის გაქანებით.

საქართველოს მახტების მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტების მთავარი ინჟინერი ვ. ციცვიძე ასეთ ობიექტებს პირველ რიგში მიაკუთვნებს საბაგირო გზას, რომელიც შენდება რაიონულ ცენტრ ყაზბეგიდან მაღალი მთის მეტეოსადგურამდე. ტრასის სიგრძე 12 კილომეტრია. ალპების საბაგირო გზა, რომელიც ყველაზე გრძელია მსოფლიოში, ყაზბეგის საჰაერო გზაზე მოკლე ალმოჩნდება. ყაზბეგზე გადის საქართველოს სამხედრო გზით მიმავალი ყველა ტურისტული მარშრუტი. აქ ჩვენი რესპუბლიკის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცემათ 20-30 წუთში ავიდნენ თითქმის ყაზბეგის მწვერვალზე და ყველაზე ცხელ დღეებში თოვლში იგუნდაონ.

დამპროექტებლებსა და არქიტექტორებში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია კიდევ ერთი ურთულესი საბაგირო გზის — მცხეთა-ჯვარი-ზედაზენი – საგურამოს გზის აგების პრობლემამ. განსაკუთრებული დავის საკითხი გახდა ჯვართან სადგურის მშენებლობა. საქმე ის არის, რომ აქ შეუძლებელია აშენდეს რამე ნაგებობა, რომ ხელს არ უშლიდეს ისტორიულ ძეგლს — ჯვრის ტაძარს. ხანგრძლივი ძიების შემდეგ დამპროექტებლები და არქიტექტორები ერთ დასკვნამდე მივიდნენ: სადგური უნდა აშენდეს მიწის ქვეშ.

საბაგირო გზები ახლა რესპუბლიკის ბევრ რაიონში შენდება და ისინი უმთავრესად სამგზავროა. კვეზანის სადგური (ტყვარჩელი) საჰაერო ტრასით შეუერთდება მეშახტეთა დაბას და ხუთი კილომეტრით შეამცირებს მანძილს. ტყიბულის საბაგირო გზა მგზავრებს მიიყვანს ცხრაჯვარის სანატორიუმამდე. თბილისში ვაჟა-ფშაველას პროსპექტიდან ლისის ტბამდე გაიჭიმება 1.700 მეტრი სიგრძის ტრასა. საგარეუბნო კურორტ წყნეთამდე მისვლას 15 წუთი დასჭირდება.

ყველა საჰაერო-საბაგირო გზის დაპროექტებას საქართველოს მახტების მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი აწარმოებს.

გ. ამაშუკელი.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

საქართველოში მალე დაიწყება ხელმოწერა ქართულ ენციკლოპედიაზე.

სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა მისი გამოცემისათვის დაკისრებული აქვს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას. შექმნილია მთავარი სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს პოეტი აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. კოლეგიის შემადგენლობაში არიან ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, სახოგადო მოღვაწენი, რომელთა შორის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ აკადემიების 43 ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტია.

ენციკლოპედია ფართოდ გააშუქებს საქართველოს მოღწევებს ეკონომიკისა და კულტურის დარგში. ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულსა და დღევანდელობას.

ენციკლოპედიაში 75-80 ათასი სტატია შევა. სპეციალურმა სამეცნიერო რედაქციის კოლექტივმა უკვე შეადგინა მთელი გამოცემის სიტყვანი. იკვრება ენციკლოპედიის პირველი ტომი, რომელიც მომავალ წელს უნდა გამოვიდეს. ენციკლოპედიის სრული გამოცემა 1972 წელს დამთავრდება. დამატების სახით რუსულ და ძირითად ევროპულ ენებზე ენციკლოპედიასთან ერთად გამოვა ორტომეული „საქართველოს სსრ“.

ივეტა ბუაჩიძე.

ალჟირის მინა-წყალზე

ალჟირიდან თბილისში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენაზე საბჭოთა კავშირის დღის მოწყობაში. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ჩოგოვაძე (ხელმძღვანელი) და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში რ. ელიგულაშვილი. „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტი შეხვდა გ. ჩოგოვაძეს და სთხოვა ეპასუხა ზოგიერთ შეკითხვაზე, რომლებიც დაკავშირებულია ალჟირის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენაში ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობასთან.

— უწინარეს ყოვლისა, თქვა ამხ. ჩოგოვაძემ, — მინდა აღვნიშნო, რომ ალჟირელები უდიდეს ინტერესს იჩენენ ჩვენი ცხოვრების წყობისადმი. შარშან ალჟირში ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მუჟავანაძე. ალჟირის საზოგადოებრიობა ახლაც გულთბილად იგონებს ამ ვიზიტს.

საქართველოს დღემ გამოფენაზე ჩაიარა დიდი წარმატებით, როგორც ოფიციალურ პირთა, ისე ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებისა და კეთილი განწყობილების ატმოსფეროში.

ალჟირში ხუთ დღეს დავყავით. ჩავედით 31 აგვისტოს დილით და წამოვედით 5 სექტემბერს. 1 სექტემბერს დღისით ოფიციალურად გაიხსნა ბაზრობა-გამოფენა, საღამოს კი დარბაზობა გამართა ალჟირის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ბუმედიენმა.

4 სექტემბერს, ალჟირის გაზეთებმა დაბეჭდეს საქართველოს პავილიონისადმი მიძღვნილი ბევრი მასალა. თქვენ უკვე იცნობთ გაზეთ „ელ-მუჯა-ჰიდის“ შეფასებას. გაზეთი წერდა: „საქართველოს სსრ განყოფილება, ალჟირის მე-4 საერთაშორისო ბაზრობაზე, გამორჩევა დიდი გემოვნებით შედგენილი ექსპოზიციითა და იმ ინტერესით, რომელსაც დამთვალიერებლებში იწვევს“. ასეთივე აზრი გამოთქვეს სხვა გაზეთებმაც.

საქართველოს პავილიონი, რომელიც გააფორმეს მხატვარ ვახტანგ ონიანის პროექტით, ჩვენი აზრით, იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა შევუხამოთ ერთმანეთს ეროვნული მხატვრული ტრადიციები და გაფორმების თანამედროვე პრინციპები. საქართველოს ჯგუფი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა პავილიონების გაფორმებაში. ესენი იყვნენ სტუდენტები ა. ხუნწარია, ს. მაჭარაშვილი, ნ. ღოღობერიძე, ვ. რუხაძე, თარჯიმნები ვ. გიორგაძე, ნ. შადური, ნ. ვალიევა.

დამთვალიერებლებზე თავიდანვე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის დიდმა პანორამამ (განსაკუთრებით ძველი თბილისის ნაწილმა), რომლის ზომა იყო 17X2,1 მეტრი. ეფექტურმა განათებამ უფრო დაამშვენა ჩვენი უძველესი, მაგრამ მარად ჭაბუკი ქალაქი.

საქართველოს სსრ პავილიონში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი საწარმოების პროდუქციამ, უწინარეს ყოვლისა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწევარმა „კოლხეთმა“, ბათუმის გემთაშენებელი ქარხნის წყალქვეშა-ფრთიანმა კატარღებმა, თბილისის ელექტროშემდუღებელი ქარხნის შემდუღებელმა აპარატმა, ქუთაისის მექანიკური ქარხნის სიღრმისეულმა ტუმბოებმა, ბათუმის ელექტროკარებმა, ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციამ — ღვინომ, თამბაქომ, ჩაიმ, ტექნიკურმა კულტურებმა.

საზღვარგარეთის ფირმებმა შეიმოგვთავაზეს ხელშეკრულებათა დადება სატვირთო მანქანებისა და წყალქვეშა-ფრთიანი კატარღების, სხვა სამრეწველო პროდუქციის მიყიდვის შესახებ.

სხვა დარგებში საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურა წარმოდგენილი იყო ფოტოსურათებით, დოკუმენტური ფილმებით, სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებებით, დიაგრამებით, მოკლე ცნობარებით, რომლებშიც ნათქვამია, მაგალითად, რომ საბჭოთა საქართველოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ყოველ ათას კაცზე უმაღლესი განათლების პირთა რაოდენობით, რომ რესპუბლიკის ოთხ მილიონნახევარ მცხოვრებზე მოდის 81.400 სტუდენტი, რომლებიც თვრამეტ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, და სხვ. ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებზე წარწერები დამთვალიერებელთ აწვდიდნენ სხვა ცნობებსაც, რომლებიც ახასიათებენ იმ განსაცვიფრებელ ცვლილებებს, რომლებიც საბჭოთა წყობილებამ მოუტანა ქართველ ხალხს.

ყოველდღე რამდენიმე საათს ვატარებდით პავილიონებში, ბაზრობებზე, სადაც ვესაუბრებოდით დამთვალიერებელთ, რომელთაც აინტერესებდათ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრება. ეს საკითხები ეხებოდა სულ სხვადასხვა პრობლემებს. მაგალითად, გვკითხეს, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა და რა გავლენას ახდენს ეს მშრომელთა ხელფასზე, როგორია ქალების უფლებრივი მდგომარეობა — ეს ალჟირისათვის მწვავე პრობლემაა. ბევრი შეკითხვა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო წყობილებასა და კონსტიტუციას ეხებოდა.

4 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ალჟირის კულტურულ ცენტრში გაიმართა საქართველოს სსრ დელეგაციის შეხვედრა ჭალაქის საზოგადოებრიობასთან. შეხვედრაზე იყვნენ ალჟირის მთავრობის წარმომადგენლები და გაზეთის კორესპონდენტები. მე წავიკითხე ლექცია რესპუბლიკის ცხოვრების შესახებ, ვუპასუხე ბევრ კითხვაზე. ცენტრის დარბაზებში მოწყობილი იყო საქართველოს სს რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

როგორც ცნობილია, ალჟირში მუშაობენ საბჭოთა სპეციალისტები, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის, წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა და „სოფლმრეწველსპორტმა“ გაგზავნეს. სიამოვნებით მოვისმინეთ, რომ საქართველოს წარმომადგენლები ნდობითა და პატივისცემით სარგებლობენ ალჟირში. კერძოდ, შესანიშნავ ქირურგად იხსენიებენ სოხუმელ გივი ნესტორის-ძე ნადარეიშვილს.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნისა და ალჟირის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა შედარებით ახლახან დაიწყო, მაგრამ უკვე ცხადია, რომ დიდი პოტენციური შესაძლებლობანი გვაქვს. ჩვენ საშუალება მოგვეცა გვემოგზაურა ალჟირში და საკუთარი თვალით გვენახა ბევრი რამ, რაზედაც გვიამბობდნენ.

მიწა აქ ნაყოფიერია და გარკვეულ პირობებში ორი მოსავლის მოცემა შეუძლია წელიწადში. მნიშვნელოვანი ფართობი უკავია ვენახებს — თითქმის სამასი ათასი ჰექტარი. ისინი მილიონობით დეკალიტრ ღვინოს იძლევიან, რომლის მთავარი მომხმარებელი საფრანგეთია.

ჩვენ მიგვიწვიეს საწარმოო კოოპერატივში, რომელიც ალჟირელმა გლეხებმა მოაწყვეს ძველად მდიდარი მიწათმფლობელი ფრანგის მიწაზე. დავრწმუნდით, რომ კოოპერატივს შესანიშნავად მართავენ და რენტაბელური მეურნეობაა.

დასასრულ მინდა შევეხო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ ბაზრობა-გამოფენებს ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის მიღწევათა სწორი და თვალსაჩინო ჩვენებისათვის.

• • •

სურათზე: საბჭოთა პავილიონი მე-4 საერთაშორისო ბაზრობაზე ალჟირში. ცენტრში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ჩოგოვაძე და ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი.

(საქდესის **ფოტოქრონიკა**).

იგორ სიკირიცკი:

აღტაცებული ჰარ

იგორ სიკირიცკი პოპულარული პოლონელი პოეტი, მთარგმნელი და ჟურნალისტია. იგი 22 საბავშვო წიგნის, რამდენიმე პიესის ავტორია.

იგორ სიკირიცკიმ პოლონურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. იგი სისტემატურად გამოდის თავის სამშობლოში ლექციებით „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს სტატიებს საქართველოს შესახებ.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით იგორ სიკირიცკი ერთ თვეს იყო მეუღლითურთ ჩვენს რესპუბლიკაში.

„სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტის თხოვნით პოლონელმა მწერალმა გაგვიზიარა საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებანი.

— მეექვსეჯერ ჩამოვდივარ საქართველოში, — ამბობს სიკირიცკი — და ყოველთვის აღტაცებული ვრჩები ამ მშვენიერი მხარით. თუმცა საფუძვლიანად მხოლოდ ახლა შევისწავლე საქართველო, რადგანაც აქამდე რამდენიმე დღით ჩამოვდიოდი ხოლმე.

ის, რაც ვნახე რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს, შესანიშნავია. ვიცი, რომ საქართველოს პოეტების ქვეყანას უწოდებენ. მაგრამ მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ არის ეს პოეტების ქვეყანა. ასეთ შესანიშნავ ადამიანებში რომ ცხოვრობ, ასეთ დიდებულ ბუნებას რომ ხედავ, მართლაც შეუძლებელია არ დაიწყო წერა.



მ ო ნ რ ე ა ლ ი ს შ ე

მსოფლიო

ძვირფასო მკითხველებო! ამ რამდენიმე ხნის წინათ „სამშობლოს ხმის“ ფურცლებზე თქვენ გაეცანით მონრეალის გამოფენაზე საქართველოს ეროვნული დღისადმი მიძღვნილ მასალებს. ამ დიდი ღონისძიების ირგვლივ საუბარი ჯერ არ დამთავრებულა, რომ პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ახალი მასალები ალჟირის საერთაშორისო ბაზრობის შესახებ.

რას წარმოადგენს ალჟირის ბაზრობა? ვინ იღებს მასში მონაწილეობას? რა მიზნებს ემსახურება იგი? და, ბოლოს, რით განსხვავდება იგი მონრეალის გამოფენისა და საერთოდ სხვა გამოფენებისაგან, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აწყობენ?

ალჟირის საერთაშორისო ბაზრობა ტრადიციული ღონისძიებაა, იგი წელიწადში ერთხელ ეწყობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაჯას უსინჯავს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახალხო მეურნეობას, რადგან ალჟირში თავს იყრის მსოფლიოს ნაწარმის ნაღები, ეროვნული წარმოების იარაღ-მანქანები, მსუბუქი მრეწველობის დარგების ნიმუშები, კვების პროდუქტები, წიგნები, სიგარეტები და სათამაშოებიც კი. მთელი ეს უზარმაზარი, უმაღლესი ხარისხის პროდუქცია თავს იყრის ერთ ბაზარში, და წარმოიდგინეთ, როგორი იქნება იგი. სწორედ ამიტომ არის მსოფლიო ვაჭრობის თვალი აქეთკენ მომართული. თუ მონრეალში უმეტესი ადგილი დასათვალიერებელ ექსპონატებს ეჭირა და გასასყიდად მხოლოდ უმნიშვნელო რამ იყო ჩამოტანილი, აქ პირიქით არის, ყველაფერი მუშტრის თვალით იზომება.

ქ ა რ თ უ ლ პ ა ვ ი ლ ი ო ნ ი ს ა

„ძვირფასო დამთვალიერებლებო!

თქვენ იმყოფებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პავილიონში...“

ამ სიტყვებით იწყება რამდენიმე ენაზე დაწერილი ტექსტი, რომელიც პავილიონის შესასვლელში ფართო სტენდზეა გამოკრული, ხოლო დარბაზებში რადიოთი გადაიცემა.

ჩვენი მკითხველებისთვისაც საინტერესო იქნება მისი შინაარსი, რომელიც გვაცნობს გამოფენის ექსპოზიციას. ამიტომ მთლიანად მოგვყავს იგი.

„ქართველები განთქმული არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობით. საქართველოში სტუმარს ღვთის კაცად თვლიან, ამიტომ ყოველთვის უხარიათ მისი ოჯახში შემოსვლა. დიდი პატივით იღებენ მას და მასპინძლები გულით და სულით წარმოთქვამენ: კეთილი იყოს შენი ფეხი, სტუმარო!.

კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს პავილიონში, ვამბობთ ჩვენც.

ერთ პავილიონში შეუძლებელია აჩვენო ქართველი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. აქ ჩამოტანილი ექსპონატები მხოლოდ მცირე ნაწილია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმ დარგებისა, რომელთა ჩვენება ჩვენ სულით და გულით გვსურდა.

მაგრამ ჩვენ გულით გავიხარებთ, თუ კი ქართული ექსპოზიცია დამთვალიერებლებს ზოგად წარმოდგენას მაინც შეუქმნის საბჭოთა საქართველოზე, მის დღევანდელ ეკონომიურ განვითარებაზე.

შეუჩერებლად გვერდს ვერ ჩაუვლით ღვინისა და კონიაკის პროდუქციის სტენდებს. ქართული ღვინოები და კონიაკები ხომ მრავალი საერთაშორისო კონკურსისა და დეგუსტაციის ლაურეატებია. სწორედ საქართველოში, თბილისში გაიმართა ღვინოებისა და კონიაკების უკანასკნელი საერთაშორისო კონკურსი.

ქართული ღვინო და კონიაკი მსოფლიოს ათობით ქვეყანაში გადის.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი პავილიონი ქართული მოტივებით არის გაფორმებული. საქართველო — ეს უძველესი ქვეყანა, ორი კულტურის — დასავლეთისა და აღმოსავლეთის საზღვარზე დგას. ასეთმა მეზობლობამ განსაზღვრა ქართული კულტურის განუმეორებელი ნაირფეროვნება. ჩვენს ექსპონატებში ურევია ქართული ტრადიციული ხელოსნობის ნიმუშებიც: ვერცხლით მოჭედილი რქის ნაწარმი, კერამიკა, ჰედური ნაკეთობანი, თიხის ორიგინალური დოქები ღვინისათვის და სხვ.

ჩვენ შეგვეძლო მრავალი სტატისტიკური ციფრი მოგვეშველიებინა, თუ როგორ გაიზარდა საქართველოს სახალხო მეურნეობა უკანასკნელ წლებში, როგორ იქცა ინდუსტრიულ და სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებულ ქვეყნად, მაგრამ თავს არ შეგაწყენთ მშრალი ციფრებით. გაიარეთ პავილიონში, ნახეთ ჩვენი ექსპონატები, დააკვირდით ხალხს ფოტოსურათებში, და თქვენ თვითონ დახატეთ საქართველოს დღევანდელი ცხოვრების სურათები.

გმადლობთ, უურადღებისათვის!“

უკეთ ალბათ ჩვენ მეტს ვერაფერს ვიტყვით, დავუმატებთ ზოგიერთ მომენტს, რომელიც ამ ოფიციალურ ტექსტში არ არის აღნიშნული.

ქართული პავილიონის მრავალ სტენდზე გამოფენილია მრავალრიცხოვანი ფოტომასალა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის კულტურული ცხოვრებიდან: თბილისის ხედები, მეტროპოლიტენი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საამქროები, ჩაის პლანტაციები, ზვრები, საქართველოს გზები, კურორტები და ა. შ.

საქართველოს საუკეთესო ადამიანებს ეძღვნება ცალკე სტენდი, რომელზეც გამოფენილია მათი პორტრეტები. აქ არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ნ. ჯავახიშვილის, საქართველოს სახალხო არტისტის მ. ჯაფარიძისა და სხვათა ფოტოსურათები.

ცალკე სტენდებზე გამოფენილია ტექსტობრივი მასალა, ფოტომონტაჟის ხასიათის მასალები, რომლებიც გვაცნობს საქართველოს სახალხო მეურნეობის, კულტურული ცხოვრების და სპორტის მიღწევებს.

პავილიონის დარბაზში უჩვენებენ ქართულ ფილმებს. მხატვრული ფილმებიდან, როგორც საქართველოს სსრ სავაჭრო პალატაში გვითხრეს, ალჟირში გაიგზავნა „ჯარისკაცის მამა“ (რეჟისორ რ. ჩხეიძის კინოსურათი, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის დამსახურებული არტისტი სერგო ზაქარაიძე) და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმი, მათ შორის, ახალგაზრდა რეჟისორის მ. კობახიძის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქორწილი“, რომელიც მრავალჯერ იყო პრემირებული; აგრეთვე ფილმები „ქართული მელოდიები“, „გიწვევთ ქართული სუფრა“ და სხვ.

ალჟირში გაიგზავნა მრავალი სუვენირი, ლამაზად გაფორმებული ბუკლეტები და წიგნები. მხატვრული ლიტერატურა, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სამახსოვრო გამოცემები ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, სკოლის სახელმძღვანელოთა ნიმუშები, სამეცნიერო წიგნები და მონოგრაფიები.

ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ა

ალჟირი, საკდესის კორესპონდენტი ა. ბოგომაზი გვატყობინებს: „საქართველოს სსრ განყოფილება ალჟირის მე-4 საერთაშორისო ბაზრობაზე გამოირჩევა ექსპოზიციის დახვეწილი გემოვნებითა და დამთვალიერებელთა დიდი ინტერესით“.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ შეფასებას, რომელიც გაზეთ „ელ-მუჯა-ჰიდის“ რეპორტიორს ეკუთვნის.

ჩვენი აზრით, საქართველოს პავილიონის ექსპოზიცია სავსებით აკმაყოფილებს, როგორც ჩვეულებრივ დამთვალიერებელთა ცნობისმოყვარეობას. ისე საქმიანი წრეების მოთხოვნილებებს.

საქართველოს წელს თავისი საქონელი გააქვს 64 ქვეყანაში. ეს ნათლად ჩანს მსოფლიოს კარგად გაფორმებულ რუკაზე.

რესპუბლიკას, რომელსაც წინათ ძირითადად ნედლეული გაჰქონდა, ახლა გააქვს მეტალურგიული მრეწველობის პროდუქცია, ჩარხები, კვების პროდუქტები.

საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნაა ქართულ მანგანუმზე, მილების ნაგლინზე, ხარლხურ ოსტატთა ნამუშევრებზე.

ალჟირში საქმიან ინტერესს გამოიწვევს ელექტრო და დიზელის ამძრავიანი არტეზიული ჭების ტუმბოები, უნივერსალური ჩარხები, ჰიდრომეტეოროლოგიური მოწყობილობა, რომელსაც უკვე მსოფლიოს 57 ქვეყანა ყიდულობს, და საქართველოს სს რესპუბლიკაში წარმოებული სხვა საქონელი.

ალჟირელებს შეიძლება შეშურდეთ კიდეც ქართული ღვინოები, რომლებიც ასე უხვად და ლამაზად არის წარმოდგენილი პავილიონებში. ყურძნის ღვინის ექსპორტი ხომ ალჟირის ეკონომიკის ერთ-ერთი უველაზე მწვავე პრობლემაა. მას დიდი რაოდენობით აწარმოებენ ალჟირში.

საქართველოს განყოფილების დამთვალიერებელნი დიდხანს დგანან ხოლმე თბილისის — ამ ათას ხუთასი წლის ქალაქის დიდებულ პანორამასთან, რომელმაც ნამდვილ განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია.

საქართველოს სს რესპუბლიკას 4 სექტემბერს დაეთმო ალჟირში საბჭოთა კუ-

ც ი ფ რ ე ბ ი დ ა ფ ა ქ ტ ე ბ ი

პავილიონის ექსპონატები გვიჩვენებენ საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგების — ლითონდამუშავების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, ქიმიური, კვების მრეწველობის მიღწევებს. ალჟირში გაგზავნილია 50 დასახელების ნიმუშები.

საქართველო ვაჭრობს მსოფლიოს 67 ქვეყანასთან. რესპუბლიკის 120 სამრეწველო საწარმო ამზადებს საექსპორტო საქონელს.

40 წლის წინათ აშენებული პირველი ქართული ელექტროსადგურის „ზაჰესის“ ენერგია დღეს ძლივს ეყოფოდა საყოფაცხოვრებო ტელევიზორებს.

დიდი ქართველი მწერალი ი. ჭავჭავაძე მეოცე საუკუნის დასაწყისში იმ დღეზე ოცნებობდა, როცა საქართველოს 20-30 ინჟინერი ეყოლებოდა. დღეს საქართველოს ყოველ 100 მცხოვრებზე მოდის 38 უმაღლესი განათლების სპეციალისტი. ეს უველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

საქართველო წლიურად 210.000 ტონა ჩაის აწარმოებს. ხარისხის მიხედვით იგი კონკურენციას უწევს ინდურ, ჩინურ, ცეილონურ ჩაის და იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საქართველოს ღვინოებსა და კონიაკებს 80 სხვადასხვა სახის ჯილდოები აქვს მიღებული. ღვინოები და კონიაკები გადის ინგლისში, ბელგიაში, ბულგარეთში, იემენში, ისლანდიაში, კორეაში, მალის რესპუბლიკაში, მექსიკაში, მონღოლეთში, პოლონეთში, სირიაში, თურქეთში, ტუნისში, ფინეთში, გფრ-ში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში, ეთიოპიაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

...ამდეგ—ალჟირი

...ო ბაზრობა

...ობლოს ...ართვე- ...ძების ...ზე გა- ...ახებ. ...ილეო- ...ბა იგი ...ლებსაც

...ა, იგი ...უსინ- ...ალჟი- ...ების ...კვების ...უზა- ...არში, ...ფლიო ...ვგილი ...მნიშ- ...მტრის

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღეს ალჟირი მსოფ...იო ბაზარია. მონრეალის მსოფლიო გამოფენის უდიდესმა ავტორიტეტ...აც კი ვერ დაჩრდილა მისი გავლენის სფერო და საქმიან ადამიანთა ...ურადღება მიიქცია. ეს, რასაკვირველია, ოდნავაც არ ამცირებს მონ...ეალის გამოფენას, მაგრამ ბევრს გვეუბნება ალჟირის ბაზრობის დიდ ...ნიშვნელობაზე.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სამრეწველო საქონელი ვრცლად ...რის წარმოდგენილი ამ ბაზრობაზე. საქართველომაც გაგზავნა თავისი ...ქსპონატები და უნდა ითქვას, საკმაოდ უხვად.

მოდით გავიაროთ ქართულ პავილიონში და „ვნახოთ“ ჩვენი ეროვ...ული წარმოების საქონელი, ძვირფასო მკითხველებო!

ალჟირი, 18 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბოგომაზი იტ...ობინება უმაღლესი ჯილდო მიიღო ალჟირის მე-4 საერთაშორისო ბაზ...ობის საქართველოს პავილიონმა. „ᲛᲐᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘ...ᲘᲡ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, — ნათქვამია საპატიო ...გელში, რომელიც გუშინ საბჭოთა პავილიონის დირექტორს გადასცა ...ლჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს ...ავმჯდომარემ ჰუარი ბუმედიენმა. ამ სიგელით ბაზრობის ჟიურიმ აღნი...ა საქართველოს სსრ მრავალფეროვანი ექსპოზიცია, რომელიც მოწყო...ლია როგორც საბჭოთა პავილიონის დამოუკიდებელი განყოფილება.

ყველას ხიბლავს ჩვენი კერამიკა

საფრანგეთი, იტალია, იაპონია, კანადა, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ალჟირია — აი ქვეყნები, სადაც თავის პროდუქციას გზავნის მცხეთის კერამიკის ქარხანა — თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო-სამეცნიერო ბაზა. 64 სახეობის სხვადასხვა პროდუქცია — ტანწერწერტა დოქები „გაზაფხული“ და „თამარი“, ხილისა და ყვავილის ლამაზი ლარნაკები „ირინე“, ქართული ღვინის სასმისები, ჭინჭილა და ძველებური ეროვნული ორნამენტით შემკული ფიალები დიდად ხიბლავს გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის მოყვარულებს. ამ აღორძინებული ხელოვნების თვითეულ ექსპონატში თითქოს ცოცხლდება საქართველოს უძველესი ისტორია. მცხეთელმა მეთუნეებმა ძველთაგანვე იცოდნენ თიხის გაცოცხლება. ჩვენი წინაპრების მიერ დამზადებული თიხის სასმისები, რომლებსაც მეცნიერები პოულობენ საქართველოს უძველესი დედაქალაქის ტერიტორიაზე, საფუძვლად დაედო ახალ ნაკეთობებს.

ქარხნის ნაწარმი ირანში, თურქეთში, ალჟირში, კანადაში გამართული ოთხი საერთაშორისო გამოფენის მონაწილეა. ახლა ქარხნის 11 სახეობის ნაწარმის 1.500-მდე ექსპონატი ლაიპციგში გაგზავნა, სადაც 1 სექტემბერს გაიხსნება ტრადიციული საშემოდგომო საერთაშორისო ბაზრობა. ლაიპციგის ბაზრობასთან ერთად რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში იხსნება საბჭოთა სავაჭრო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისელი კერამიკოსებიც. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 20 სახეობის პროდუქცია. მცხეთის ქარხნის მარკიანი კერამიკული ნაკეთობანი გავზავნილია იაპონიის ქალაქ ოსაკაში.

საზღვარგარეთის სავაჭრო ფირმები დიდ ინტერესს იჩენენ ქართული კერამიკისადმი. ამას წინათ საფრანგეთის სავაჭრო ფირმის წარმომადგენელმა ქარხანას შეუკვეთა კერამიკული სასმისების დიდი პარტია.

საწარმოს ორჯერ მიენიჭა სსრ კავშირის სავაჭრო პალატის საექსპორტო კომისიის ჯილდოები მაღალხარისხოვანი ეროვნული კერამიკული ნაწარმის გამოშვებისათვის.

ახლა ქარხნის კოლექტივი ამზადებს კერამიკის ახალ ნიმუშებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ამ თარიღისათვის ქარხანა გამოუშვებს მრავალ სამახსოვრო საჩუქარს.

კერამიკის ნაწარმის ახალი თანამედროვე ნიმუშების ათვისებას ხელს შეუწყობს ქარხნის დირექტორის მ. გიორგაძის მოგზაურობა ლაიპციგში, სადაც გამოფენის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო კერამიკოსები თავიანთ მუშაობის გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს.

...ოგენ მასპინძლები

...ლტის ცენტრის საქტო დარბაზი. აქ შეხ... დედაქალაქის საზოგადოებრიობა საქ...ველოს დელეგაციას, რომელიც ალ...ის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლ...ს ჩამოვიდა მე-4 საერთაშორისო ბაზ...ის გახსნასთან დაკავშირებით.

დ...წვრეთ რესპუბლიკის ცხოვრება გაც...ნ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ...ა. ჩოგოვაძემ.

...ის შემდეგ ორატორსა და მსმენელ... შორის გაცხოველებული დისკუსია ...ართა. მსმენელებს აინტერესებდა, ...როგორ გადადის რესპუბლიკა ხუთდღ... სამუშაო კვირაზე, რა სარგებლობას ...ტანს ეს მშრომელებს, რა გავლენას მოახდენს პროდუქციის გამოშვებასა და შრომის ნაყოფიერებაზე.

დამსწრეებმა ლექტორს სთხოვეს ეამბნა, თუ როგორ მონაწილეობენ ქართველი ქალები რესპუბლიკის ცხოვრებაში, აგრეთვე ჰკითხეს, რა როლს ასრულებს საქართველოს სსრ რესპუბლიკა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში.

ამხ. ჩოგოვაძემ საფუძვლიანი პასუხი გასცა ყველა კითხვაზე.

სახალხო მეურნეობის, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის, სპორტის დარგში საქართველოს სსრ მიღწევები გააცნო დამთვალიერებელთ კულტურული ცენტრის დარბაზებში მოწყობილმა ფოტოგამოფენამ.

სხვათა შორის...

საქართველოს პავილიონს ალჟირის ბაზრობაზე დათმობილი აქვს 880 კვადრატული მეტრი ფართობი, აქედან 480 დახურული, ხოლო 400 — ღია.

პავილიონის შესასვლელში ფრიალებს საქართველოს სახელმწიფო დროშა, გვერდით მიმაგრებულია საქართველოს სახელმწიფო გერბი — ქართული ორნამენტით მოქარგული, გერბის წრეში ჩაწერილია მზე, ვაზი, თავთავები და ყაზბეგის თეთრი მწვერვალი. მზის შუქზე ბრწყინავს ნამგალი და ურო. საქართველო მზის, ვაზის და მშრომელი ხალხის ქვეყანაა, ასეთია გერბის სიმბოლიკა.

ბაზრობის ზოგიერთი ექსპონატი მოცულობით იმდენად დიდია, რომ მისი „საკუთარ ადგილზე“, დახურულ დარბაზში შეტანა არ მოხერხდა. ისინი პავილიონის გარეთ არის გამოფენილი და თვითეულ მათგანს აწერია: „გაკეთებულია საქართველოში“.

საქართველოს მეფუტკრეობას ერთ-ერთი კუთხე აქვს დათმობილი ჩვენს პავილიონში. საქართველოს მთის ჯიშის დედა-ფუტკარი მრავალ ქვეყანაში იგზავნება, გვამცნობს ერთ-ერთი სტენდის წარწერა. აქ გამოფენილია მრავალი ფოტომასალა საქართველოს მეფუტკრეობის განვითარებაზე.

„სურნელოვანი კუთხე“ — ასეთი სახელწოდება აქვს ეთეროვანი ზეთებისა და სუნამოს გამოფენას. ყველა ეს ნაწარმი დამზადებულია თბილისის პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერიაში“. მრავალი სურნელოვანი სითხე ჩასხმულია კერამიკულ ჭურჭელში.

„ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ“ გამოფენილია ჩონგურები, დოლები, სალამურები... აქვეა ვრცელი სტენდი, რომელიც ასახავს საქართველოს ხალხური ცეკვების დამსახურებული ანსამბლის ტრიუმფალურ სვლას მსოფლიოში.

ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲨᲘ ყოერს ქართული ხალხური, კლასიკური და საესტრადო მუსიკა. სპეციალურად შედგენილი პროგრამა მაგნტოფონის ფირზეა ჩაწერილი.

„მუზეუმის მძსპონატების“ ექსპოზიცია ძირითადად ფოტომასალაა. აქ წარმოდგენილია ქართული კულტურის მრავალი უნიკალური ნიმუშის ფოტოსურათები.

ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲨᲘ მოწყობილია პატარა სავაჭრო ფარდული, სადაც იყიდება ქართული სუვენირები: კერამიკული ნაწარმი და ჭედური ნაკეთობანი, ჩაის სასმელი ჭურჭელი, კონიაკები, ღვინოები, თოჯინები, სამკერდე ნიშნები და სხვ.

ალჟირი. რიუმელის ხევის ხიდი, რომელიც ქალაქ კონსტანტინის ცენტრს მის გარეუბანთან აერთებს.



მამულის სიყვარულით



მიმდინარე წლის ივლისის ბოლოდან სექტემბრის პირველ რიცხვებამდე, საქართველოში თავისი ცოლ-შვილით იმყოფებოდა „ბედის საძიებლად“ ჰაბუკობიდან საფრანგეთში წასული ქართველი კაცი ტარასი მიხეილის-ძე წულაძე, რომელიც პარიზში ცხოვრობს.

იგი ორმოცდაერთი წლის შემდეგ ეწვია სამშობლოს. თავისი ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების, მშობლიური ჭუთაისის, თბილისის, საბჭოთა საქართველოს სხვა კუთხეების ნახვის შემდეგ ტ. წულაძე მდიდარი და მარადდაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა საფრანგეთში.

„სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტი ჭუთაისში ეწვია ტ. წულაძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— როდის გაემგზავრეთ საფრანგეთში და რა იყო თქვენი წასვლის მიზანი?

— საფრანგეთში წავედი 1926 წელს. ვფიქრობდი საზღვარგარეთ გამეგრძელებინა სწავლა, მიმეღო უმაღლესი განათლება. თუმცა, რა თქმა უნდა, აქაც, საქართველოშიც შემეძლო უმაღლესი განათლების მიღება.

გამოგიტყდებით, არც მეტი, არც ნაკლები, ეს იყო, ახალგაზრდული ცდუნება.

როგორ წარიმართა თქვენი სწავლა და შემდგომი ცხოვრება საფრანგეთში?

— რაღა დასამალია, ცხოვრება ერთობ მიჭირდა. ამის მიუხედავად, ჩემს მიზანზე — სწავლის გაგრძელებაზე — ხელი არ ამიღია. მოვეწყე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში და 1931 წელს დავამთავრე იგი ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომით. უმაღლესი განათლების მიღებისთანავე გადავწყვიტე საქართველოში დაბრუნება, მაგრამ არც მაშინ, არც შემდგომ წლებში, ეს არ მოხერხდა.

მუდამ სამშობლოზე ვფიქრობდი, გადაწყვეტილი მქონდა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შემერთო ქართველი ქალი და აქ მოვკიდებოდი ოჯახს. ამიტომაც მთელი 30 წელი პარიზში უცოლშვილოდ გავატარე და მხოლოდ 1956 წელს დავქორწინდი ფრანგ ქალზე.

— როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა და მოსაქმეობა?

— ჩემი მეუღლე პროფესიით ბუხჰალტერია. ამჟამად არ მუშაობს. მყავს ერთი შვილი, რომელიც ახლა ათი წლისაა. ჩემს გოგონას ქართული სახელი ქრისტინე დავარქვი. მუდამ იმის ცდაში ვარ არა მარტო სახელით, საქმითაც ყოველმხრივ ქართველი ქალი დარჩეს.

ქრისტინეს შევასწავლე და შევაყვარე ქართული ენა. მან ჩინებულად იცის მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა და ლაპარაკი. ჭუთაისში ჩემი 93 წლის მამა, ძმები და ნათესავები აღფრთოვანებული დარჩნენ, როცა ჩემს ქალიშვილს ქართულ ლექსებს უსმენდნენ.

წლების მანძილზე ვმუშაობ ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოში ტექნიკური მომსახურების დარგში.

— რას გვეტყვით თქვენი საქართველოში ყოფნის შესახებ?

— ეს დღეები მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში. აბა, რა შეედრება იმ სიხარულსა და ბედნიერებას, როცა კვლავ მშობლიურ მიწაზე დააბიჯებ, როცა კვლავ შენს სავარდო და სამაისო ჭუთაისში ხარ, ეხვევი და კოცნი, ეალერსები შენს სისხლსა და ხორცს — მოხუც მამას, ძმებს, რძლებს, ძმისშვილებს, ნათესავებს. საყვარელი დედიკოს გარდა, რომელიც ცოცხალი აღარ დამხვდა, ყველანი ვნახე, ყველგან ამაღელვებელი შეხვედრები მომიწყვეს.

ჩემი უმცროსი ძმები ალექსანდრე და გიორგი წულაძეები მშობლიური ჭუთაისის სახელოვანი ადამიანები არიან. პირველი მინის ტარის ქარხნის მთავარი ინჟინერია, მეორეც ინჟინერია და სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ლაბორატორიას განაგებს.

სადღაა ჩვენი ძველი სახლი. ალექსანდრეს ორსართულიანი საკუთარი სახლი წამოუჭიმავს, ხოლო გიორგის კომფორტაბელური კომუნალური ბინა მიუღია.

საქართველოში ჩემი ყოფნის დღეები უმეტესად მშობლიურ ჭუთაისში გავატარე. მეპატიჟებოდნენ ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მეზობლები და მეგობრები. რძლებმა თავიანთ სოფლებში ობჩაში, ფერსათში, სუფსაში წამიყვანეს. ვიყავი აგრეთვე ბიძაშვილებთან გურიაში, ქვიანში და ნიგოითში.

ცოლ-შვილთან და ნათესავებთან ერთად მთელი ჭუთაისი შემოვიარე, ვინახულე ჭუთაისის მშენებლობანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სათაფლია, ჩემი საყვარელი ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, აგრეთვე მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი დიდ ჯიხაიშში, ვიყავი წყალტუბოში, წულუკიძეში, სამტრედიაში, გელათში...

ერთი კვირა დავყავი თბილისში, ჩემს ნათესავებთან. შევხვდი ჩემს ბიძაშვილს სერგი წულაძეს, რომელიც კარგა ხანს ცხოვრობდა საფრანგეთში. ვამაყობ, რომ მის მიერ ჩინებულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ დიდად პოპულარულია მთელ საფრანგეთში.

ერთი სიტყვით, სამშობლოს მთა და ბარი მოვიარე.

რა თქმა უნდა, პირადად მე, როგორც ქართველს, ასე გულთბილი შეხვედრები არც მაკვირვებდა. მაგრამ ჩემი მეუღლე ფანი ერთობ გაკვირვებული და აღტაცებული დარჩა ჩვენებური გულითადობით, სტუმართმოყვარეობით, ქართველი კაცის სიდარბაისლითა და კეთილი გულით.


— რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება, რა აზრით ბრუნდებით საფრანგეთში?

— ვიტყვი მოკლედ: ჭუთაისი ვეღარ ვიცანი, როცა საავტომობილო ქარხნის ტერიტორია დავათვალიერე, განვცვიფრდი, ერთ დროს უკაცრიელ მაღლაკის ველზე ამოდენა გიგანტი და მთელი თანამედროვე ქალაქი რომ ვიხილე. აღფრთოვანებული დავრჩი წყალტუბოთი, მისი დიდებული, მონუმენტური სანატორიუმებით...

ვის არ მოხიბლავს თბილისი, ჩემი სამშობლოს დედაქალაქი. როგორ გაუშლია ფრთები, როგორ დამშვენებულა! სადღაა „კონკა“, ახლა თბილისელებს შეუძლიათ იამაყონ ჩინებული მეტროპოლიტენით.

ძნელია ერთბაშად ვილაპარაკო ყველაფერზე, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილებები დატოვა.

მივემგზავრები საფრანგეთში იმ აზრით, რომ ყველას ვუამბო სიმართლე საქართველოზე, იმ ადამიანებზე რომლებიც ასე რწმენით და შეგნებით აშენებენ ახალ ცხოვრებას.



ᲤᲣᲜᲯᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ



„თქვენი შემოქმედება ყველასათვის მახლობელია და სიხარულს ანიჭებს ადამიანებს“... — აი ამონაწერი 1963 წელს მოსკოვში მოწყობილი უჩა ჯაფარიძის ნაწარმოებთა გამოფენის შთაბეჭდილების წიგნიდან. ასეთი აზრის დამახურება კი არც ისე ადვილია.

უჩა ჯაფარიძე დაიბადა 1906 წელს ქ. ონში, მასწავლებლის ოჯახში. ჯერ კიდევ ბავშვობაში შეიყვარა მხატვრობა. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ უფროსი ძმები, თვითმოქმედი მხატვრები გრიგოლ და ლადო ჯაფარიძეები. 1922 წელს უჩა ჯაფარიძე ჩამოდის თბილისში და შედის სახალხო სამხატვრო სტუდიაში, რომელსაც საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი მოსე თოიძე ხელმძღვანელობდა.

1924 წელს ასრულდა უჩა ჯაფარიძის დიდი ხნის ოცნება. მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. მაგრამ მამის მოულოდნელმა სიკვდილმა აიძულა დაეტოვებინა აკადემია, მშობლიურ სოფელს დაბრუნებოდა და მუშაობა დაეწყო სკოლაში ხატვის მასწავლებლად.

1926 წელს უურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ პირველად იბეჭდება უ. ჯაფარიძის მიერ შესრულებული დვით კლდიაშვილისა და შალვა დადიანის პორტრეტები, შემდეგ ი. იმედაშვილის პოემის „მზეთამზის“ ილუსტრაციები. ამ ნამუშევრებში მხატვრის ჯერ კიდევ გამოუცდელი ხელი ჩანს. მხოლოდ 1928 წელს უბრუნდება იგი სამხატვრო აკადემიაში მოლბერტს. გრძელდება სტუდენტობის წლები.

ახალგაზრდა მხატვარი თავისი მასწავლებლის ლ. გუდიაშვილის შემოქმედების გავლენაში ექცევა. 1931 წელს უჩა ჯაფარიძე წარმატებით ამთავრებს სამხატვრო აკადემიას და იწყებს მუშაობას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. მუზეუმის მდიდარი კოლექციების შესწავლამ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობამ მხატვარს საშუალება მისცა კიდევ უფრო ახლოს და უკეთ გასცნობოდა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებას, საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებს.

მრავალფეროვანია უჩა ჯაფარიძის შემოქმედება: მონუმენტური ფერწერა, პორტრეტი, ჟანრული სურათები, პლაკატი, პეიზაჟი, ნატურმორტი, ილუსტრაციები...

უჩა ჯაფარიძე ნაყოფიერად მუშაობს პორტრეტის ჟანრში. მხატვარმა საზოგადო მოღვაწეთა, ისტორიულ გმირთა და თავისი მახლობლების პორტრეტთა მთელი გალერია შექმნა და სახელი მოიხვეჭა.

საინტერესოა უჩა ჯაფარიძის ჟანრული სურათები. მათი თემაა მშობლიური საქართველოს ცხოვრება. მათში ვხედავთ ცხოვრების ღრმა ცოდნას, მხატვრის დაკვირვებულ თვალს, უშუალობას, შესანიშნავად შერჩეულ ტიპაჟს. ამ მხატვრულ სახეებში კარგად არის გადმოცემული ეროვნული ხასიათი, თავისებურება. ხელოვანი თავის გმირებს გვიხატავს მშობლიური ბუნების სამყაროში, მთიანი სივრცეების ფონზე. მის უანრულ სურათებში არა ჩანს მძაფრი კონფლიქტები. მისი მხატვრული სახეები ეპიკური და მონუმენტურია, ყოველი მათგანი პატარა მოთხრობა ან ნოველაა, დაწერილი ჩვენს ყოფითს თემებზე. უყურებთ ამ ნაწარმოებებს და ფიქრობთ: ეს ხომ ყველაფერი ნაცნობია, რა ხშირად შეხვედრიხართ ამ სურათების გმირებს.

დედის თემას მხატვარი არაერთხელ შეხებია და ყოველთვის დიდი სითბო და გულწრფელობა ჩაუქსოვია მასში. აი დედა წყაროსთან მივიდა, სივრცეს გახედა, გაუახლდა მოგონებანი თავის ერთადერთ ვაჟზე, რომელიც სამშობლოს იცავს. ახლა დედის ფიქრები იმ მთების იქით დაჰქრის, იმ ღრუბლების ზემოთ დანავარდობს. როგორ უნდა ერთი წუთით შორიდან მაინც მოჰკრას თვალი თავის საყვარელ ვაჟს, მოეფეროს, გაამხნეოს. დგას დედა და ფიქრობს შვილზე, მწუხარებას მოუცავს მისი გული, მაგრამ იგი ყველაფერს უძლებს, იცის, სამშობლოს სჭირდება მისი პირმშო.

უ. ჯაფარიძის შემოქმედებაში ბევრი ახალი თემა გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც საფრანგეთში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ფინეთსა და სხვა ქვეყნებში იმოგზაურა. მხატვარმა რუსთაველის იუბილეს უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ილუსტრაცია, რომლებიც სილამაზის ჰეშმარიტ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს.

ახალი გამოფენისათვის მან ორი ახალი სურათი მოამზადა — „რაჭის პეიზაჟი“ და პროფესორ ს. ყაუხჩიშვილის პორტრეტი. ეს ნამუშევრები, ჯერ კიდევ საღებავი რომ არ შეშრობია, მხახველს იზიდავს თემის თავისებური, ორიგინალური გადაწყვეტით.

როდესაც მხატვარს ჰკითხეს, თუ რომელი ნაწარმოები მიაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად თავის შემოქმედებაში, დაუფიქრებლად წარმოთქვა: ის, რომელიც ასახავს ჩემი ქვეყნის ბუნების სილამაზეს და ჩემი ხალხის ყოფას. ოქრო სიტყვებია... ალბათ ამიტომაც არის, რომ უ. ჯაფარიძის თაყვანისმცემლები დიდი ინტერესით ელიან საყვარელი მხატვრის ყოველ ახალ ნამუშევარს.

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲣᲨᲜᲐᲫᲔ,

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზემოთ) მხატვარი უჩა ჯაფარიძე, (ქვემოთ) „დედის ფიქრები“.



ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘ

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

ნაირნაირ ფერებსა და მზის თბილ სხივებს ჰკრებს მხატვარი თავისი ტილოებისათვის, რათა მაცქერალის თვალი დაატკბოს „ძველი თბილისისა“ თუ მშობლიური ქალაქის — თელავის დამატყვევებელი პეიზაჟებით.

— მე ყოველთვის განსაკუთრებით მიტაცებდა პეიზაჟი, სულ ერთია, ქალაქისა იყო იგი თუ „ნამდვილი ბუნებისა“, თუმცა, როგორც ამბობენ, ერთ დროს პორტრეტებსაც კარგად ვხატავდი, — მოგვითხრობს ელენე.

მართლაც, როცა ელენე ახვლედიანის ნახატებს უცქერით, აუცილებლად იგრძნობთ დიდ სიყვარულს იმ გარემოსადმი, რომელიც ჩვენ, ადამიანებს, გარს გვარტყია. გჯერათ, რომ ადამიანთა შემოქმედების ასპარეზი ასაზრდოებს მხატვრის ფაქიზ სულს, რომელიც ჰკრეფს და აჩუქურთმებს მშობლიური სამხრეთის ქალაქების კაშკაშა სინათლეს, პარიზის მშვენიერ ფერებს, ვენეციისა და პრაღის ზღაპრული ქუჩების ეშხს.

ელენე ახვლედიანის პირველი მასწავლებელი იყო თბილისის ქალთა სამხატვრო გიმნაზიის პედაგოგი ნიკოლოზ სკლიფოსოვსკი. სწორედ მან შეაყვარა ელენეს მხატვრობა.

— მოულოდნელი და სიხარულო იყო ჩემთვის საზღვარგარეთ პირველი გამგზავრება, — გვიამბობს ელენე, — მივლინებით წავედი იტალიასა და საფრანგეთში. ფერწერაში რომ დავხელოვნებულიყავი, მთელ დღეებს მუზეუმებში ვატარებდი. პარიზში პირველად ვიხილე ბრეგელი, და ეს გასაცვიფრებელი მხატვარი მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩემს საყვარელ ოსტატად დარჩა. მისი სურათების შთაბეჭდილებით დავხატე მაშინ, 1925 წელს, ჩემი პირველი პარიზული ნამუშევარი „კახეთი. ზამთარი“, რომელიც „ძველ თბილისთან“ ერთად გამოვფინე იმავე წელს პარიზის ერთ-ერთ სალონში.

მალე, 1926 წელს პარიზის კატრ-შმენის გალერიაში გაიხსნა ელენე ახვლედიანის პერსონალური გამოფენაც. ფრანგული პრესა გულთბილად გამოეხმაურა ახალგაზრდა ქართველი მხატვარი ქალის შემოქმედებას. საქებარი სიტყვების გარდა ელენეს მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა ყველაზე საკარგებლო რჩევა, რომელიც პაბლო პიკასომ მისცა მას გამოფენის დათვალიერებისას: „თქვენ საინტერესოდ მუშაობთ. მაგრამ ყველაზე სრულფასოვანი თქვენს ნამუშევრებში ის კი არ არის, სადაც ახალი მოდური მიმდინარეობების კვალს მიჰყვებით, არამედ ის, რაც საკუთრივ თქვენია...“

ეს საკუთარი, პირადი კი ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში იყო „კახეთი“, „საბუე“, „გრემი“, „ძველი თბილისი“. რამდენი მშვენიერი კუთხე დახატა შემდეგ შემოქმედის ყალამმა! და შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ იმ ძველი პარიზული გამოფენის პირველი თბილისური პეიზაჟი გამოჩენილმა ფრანგმა მხატვარმა პოლ სინიაკმა შეიძინა.

ჯერ კიდევ 20-იან წლებში დიდმა ქართველმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა ელენეს ქუთაისის თეატრის ახალი სპექტაკლის დეკორაციების დახატვა სთხოვა.

— თქვენ შეძლებთ, მითხრა მან, — იგონებს ელენე ახვლედიანი. — თეატრში წამიყვანა, სცენა მაჩვენა. „წიგნის კითხვისას თქვენ ყოველთვის წარმოიდგენთ, სად ხდება მასში აღწერილი ამბები, ახლა კი ისღა დაგრჩენიათ, რომ დახატოთ ყველაფერი“, — ღიმილით ამიხსნა მარჯანიშვილმა.

ერთი კვირის შემდეგ ესკიზები მზად იყო და კიდეც მიიღეს. მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში შევიტანეთ ოდნავი ცვლილება. ამ დღის შემდეგ ელენე ახვლედიანი თეატრს აღარ მოშორებია. მის ესკიზებზე შესრულებული დეკორაციები ამშვენებდა თეატრების სპექტაკლებს და შეიყვარა ქართველმა მაყურებელმა.

შემდეგში ელენე ახვლედიანმა კინოში სცადა თავისი ფუნჯი, და წარმატებითაც. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მისი შემოქმედების სფერო. მას იცნობენ, როგორც წიგნის გრაფიკის დიდ ოსტატს, საკუთარი არაჩვეულებრივი ხელწერით. ბევრი რამის გაკეთება მოასწრო მხატვარმა. როგორ მოახერხა ყოველივე ეს? ამ კითხვაზე იგი ისევე ნათლად და საინტერესოდ, მოგვითხრობს, როგორიც მისი სწორუპოვარი ხელოვნებაა.

ᲔᲚᲕᲘᲠᲐ ᲞᲝᲞᲝᲕᲐ.

ფ. 15/98





დედაქალაქის ქრონიკები

ეს ორი ფოტოსურათი ჩვენი დედაქალაქის გუშინდელ და დღევანდელ დღეს ასახავს. ძველი „სალდახანა ბაზრის“ (ქვემოთ) ადგილზე ახლა მრავალსართულიანი შენობაა აღმართული (ზემოთ).



შენ დაგეძებენ, ქართველო!

ჟორა (რაჟდენ) გიორგისძე ციმაკურიძეს დაბადებულს 1914 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ რგანში ეძებს ძმა ბიჭიკო გიორგის-ძე ციმაკურიძე მცხოვრები ქ. თბილისში პავლოვის ქ. № 41.

სურათზე: ჟორა გიორგისძე ციმაკურიძე.

წიგნი ანთიმოზ ივერიელზე

ქართველმა მკითხველმა მიიღო წიგნი „ანთიმოზ ივერიელი“. იგი გვაცნობს რუმინელი განმანათლებლის, მწერლის, მქადაგებლის, ხუროთმოძღვრისა და მხატვრის (1650-1716), წარმოშობით ქართველის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

წიგნის ავტორებმა, ეროვნებით რუმინელმა ფანი ჯინჯიხაშვილმა, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რუმინული ენის მასწავლებელმა, ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის გამოკვლევას ათ წელზე მეტი მოანდომა.

მებრძოლი და პატრიოტი ანთიმოზ ივერიელი, — წერს თავისი შრომის დასასრულს ფ. ჯინჯიხაშვილი, — ერთგვარი ხიდია ორ მოძმე ხალხს შორის — ქართველ და რუმინელ ხალხებს შორის. მის სახელს, რომელიც ძმობის სიმბოლო გახდა, სათუთად ინახავს ორივე ეს ხალხი.

იგორ სტრავინსკი ქართული სალხური მუსიკის შესახებ

...„ორში ერთს... ჩემი ახლო წარსულის ყველაზე ცხოველ მუსიკალურ შთაბეჭდილებას უნდა ვუმადლოდე განსვენებულ ნოე გრინბერგსა და პოლიფონიურ ვოკალურ ჩანაწერებს, რომელიც მან მოიპოვა მთის სოფლებში, არცთუ შორს თბილისიდან, კონდუქტუსისა, X საუკუნის ორგანუმისა და გვიანი რენესანსის სტილისაგან მომდინარე, ცოცხალი შემსრულებლობითი ტრადიციის გრინბერგისეული აღმოჩენა მიმაჩნია დიდ შენამატად შემსრულებელთა ოსტატობის მეცნიერებაში, უფრო ფასოვან შენამატად, ვიდრე უბრალოდ ახალი მუსიკის პოვნა.

ეს იოდლი, საქართველოში „კრიმანჭულად“ წოდებული და უკვე XIV საუკუნის მუსიკაში ცნობილია, იყო უმჯობესი, რაც ოდესმე მომისმენია“.

ამონაწერი ი. სტრავინსკის საუბრიდან ჟურნ. „ამერიკა“, 1967 წ. იანვარი. № 123).

შენიშვნა: ყოველი ქართველი სიამაყის გრძნობით წაიკითხავს თანამედროვე უდიდესი კომპოზიტორის ი. სტრავინსკის მიერ გამოთქმულ აზრს ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, რომელიც მას ცნობილმა ამერიკელმა დირიჟორმა ნოე გრინბერგმა მოასმენინა. მაგრამ ზოგი რამ მოითხოვს დაზუსტებას, განსაკუთრებით ის, რომ ეს შესანიშნავი „პოლიფონიური ვოკალი“ გრინბერგმა „მოიპოვა მთის სოფლებში, არცთუ შორს თბილისიდან“ და რომ ეს არის ცოცხალი შემსრულებლობითი ტრადიციის გრინბერგისეული აღმოჩენა...

საჭიროა განვმარტოთ, რომ ეს სიმღერები გრიხბერგს არც ჩაუწერია და არც აღმოუჩენია. ხალხური პოლიფონიური მუსიკის ეს ჭეშმარიტად უნიკალური ნიმუშები დიდი ხანია ჩაწერილი, გამოქვეყნებული და ფართოდ ცნობილია საქართველოში. მათ იცნობენ მრავალ სხვა ქვეყანაშიც.

თვით პატივცემულმა გრინბერგმა ქართული სიმღერები მოისმინა არა მთაში, არამედ თბილისში, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტში და მოსმენილით აღტაცებულმა ასე განაცხადა: „იმდენად რთულია გურული სიმღერების პოლიფონია, რომ მათი მოსმენით თვით უდიდესი პოლიფონისტი ი. ს. ბახიც კი აღფრთოვანდებოდა“. ნ. გრინბერგს ქართული ხალხური სიმღერები მოასმენინეს მის მიერ ქართული ძეგლების დათვალიერების დროსაც. მოხიბლულ უცხო სტუმარს მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტის თანამშრომლებმა მაგნიტოფონის ფირზე გადაუწერეს სამახსოვროდ ქართული სასიმღერო შემოქმედების რამდენიმე ნიმუში. ეს სიმღერებია, რომლებსაც ფრიად მაღალი შეფასება მისცა დიდმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ.

გრ. ჩხიკვაძე,
პროფესორი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოისმინეთ საქართველოს

საredაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.